საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ დავით ბაქრაძეს

ბატონო დავით,

მოგეხსენებათ, რომ 2008 წლის 26 დეკემბერს მიღებული ,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ამ კანონის VI თავის - ,,კონტროლის პალატის აქტების გასაჩივრება და დავების განმხილველი საბჭო" ამოქმედებას 2009 წლის 1 მარტიდან. ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, დავების განმხილველი საბჭოს შემადგენლობაში დანიშნოს არა უმეტეს ორი პარლამენტის წევრისა, რომელთაგან ერთი უნდა იყოს იმ საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი, რომელიც არ არის გაერთიანებული საპარლამენტო უმრავლესობაში.

გთხოვთ, გვაცნობოთ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შესახებ დავების განმხილველი საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

ლევან ბეჟაშვილი

63/02
02.03.2009წ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემავ. № 5950
06-03 2009 წ. ფურცელ. 1